

ეკონომიკური აგენტის ცნება ქართულ კონკურენციის სამართალში

ევროკავშირთან ასოცირების რეფიმმა საქართველო ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობის შექმნის ვალდებულებისა და გარკვეულნილად, ქართული კონკურენციის სამართლის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების აუცილებლობის წინაშე დააყენა. სრულფასოვანი დაახლოების პროცესში კი მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მოწინავე პრაქტიკისა და იურიდიული მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით კონკურენციის სამართლისთვის აუცილებელი ცნებებისა და კატეგორიების ანალიზი. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც ეკონომიკური აგენტის სახით განხილულია კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმეტი. ამასთან, საუკეთესო ევროპული მიდგომებს საფუძველზე ერთმანეთისგან გამიჯნულია ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური გაგება და წარმოჩენილია მისი რელატიური ბუნება. ეკონომიკური აგენტის ცნებასთან მიმართებაში ასევე განხილულია კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია, რომელიც „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის“ სახელით არის ცნობილი.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კონკურენციის სამართალი, ეკონომიკური აგენტი, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა.

1. შესავალი

კონკურენციის სამართლის ამკრძალავი ნორმების უმთავრესი ადრესატია ეკონომიკური აგენტი. იგი წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობისთვის რელევანტური ყველა ქმედების ფაქტობრივი შემადგენლობის ძირითად ელემენტსა და სამართლის ამ დარგის ცენტრალურ სუბიექტს. კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური აგენტის ცნების ერთგვაროვანი განმარტება კონკურენციის დამცავ თითოეულ ინსტრუმენტთან მიმართებაში და მისი განმარტებისას აღნიშნული ინსტრუმენტების არსის, ბუნებისა თუ მიზნის მხედველობაში მიღება.

კონკურენციის სამართალი აბსოლუტურად თვითმყოფადი, სხვა დანარჩენისგან გამიჯნული სამართლის დარგია, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი პრინციპები, მოქმედების სივრცე და სამართლებრივი ცნებები გააჩნია. კონკურენციის სამართლის ცნებებისა და ინსტიტუტების, მათ შორის, ეკონომიკური აგენტის ცნების განმარტება, როგორც წესი, სამართლის სხვა დარგებისგან დამოუკიდებლად ხდება.¹ ეკონომიკური აგენტის ცნებასთან მიმართებით ქართული კონკურენციის კანონმდებლობა უნიკალური მიდგომით გამოირჩევა იმდენად, რამდენადაც იგი ეკონომიკური აგენტის ცნების ლეგალურ დეფინიციას შეიცავს.

ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით ევროკავშირის კონკურენციის სამართლის არც პირველადი და არც მეორადი წყაროები ნორმატიულად არ განსაზღვრავენ ეკონომიკური აგენტის ცნების ლეგალურ დეფინიციას. აღნიშნულმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ეკონომიკუ-

* იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

¹ Zimmer D. in Immenga/Metsmäcker GWB Kommentar, 3. Auflage, München 2001, § 1, Rn. 24.

რი აგენტის ცნების ჩამოყალიბება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემ-დგომში - „მართლმსაჯულების სასამართლო“) მიერ განხორციელდა. შესაბამისად, მართლმსა-ჯულების სასამართლოს პრაქტიკას მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება გააჩნია ეკონო-მიკური აგენტის ცნების აუცილებელი ელემენტების დადგენის, შესაბამისი მახასიათებლების იდენტიფიცირებისა და მისი არსისა და სამართლებრივი ბუნების ზუსტი განსაზღვრის კუთხით.

ევროპული კავშირისა თუ წევრი სახელმწიფოების კონკურენციის სამართალთან შედარე-ბით ქართულ კონკურენციის სამართალში არც საკმარისი თეორიული საფუძველია შექმნილი და არც საკმარისი გამოცდილებაა იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს ეკონომიკური აგენტის არსი და მისი მახასიათებლები. ამ სფეროში არსებული ამკრძალავი ნორმების სრულ-ფასოვანი ფუნქციონირებისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური აგენტის ცნების ელემენტებისა და მახასიათებლების ზუსტი იდენტიფიცირება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც ეკონომიკური აგენტის ცნების ელემენტები განხილულია ევროპული და გერმანული იურიდიული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიღწევების გათვალისწინებით.

2. ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალური გაგება

როგორც აღინიშნა, ქართული კონკურენციის კანონმდებლობისაგან განსხვავებით ევრო-კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება არ შეიცავს ეკონომიკური აგენტის ცნების ლეგალურ დეფინიციას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცნების დეფინიციის ჩამოყალიბება და მისი აუცილებელი ელემენტების იდენტიფიცირება მართლმსაჯულების სასამართლოს კომ-პეტენციის ფარგლებში აღმოჩნდა. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ სანამ მართლმსა-ჯულების სასამართლოს პრაქტიკაში ეკონომიკური აგენტის ერთიანი და სრულყოფილი ცნება ჩამოყალიბდებოდა, იგი წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებასა და ტრანსფორმა-ციას განიცდიდა. ეკონომიკური აგენტის ცნებასთან მიმართებით აღნიშნული პერიოდის გან-მავლობაში შექმნილ სასამართლო განმარტებებზე დაყრდნობით კი იურიდიულ ლიტერატურა-ში ერთმანეთისაგან ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალურ და ფუნქციონალურ გაგებას განასხვავებენ.²

ინსტიტუციონალური გაგების მიხედვით, ეკონომიკური აგენტის ცნების ამოსავალ წერ-ტილს კონკრეტული სუბიექტის სამართლებრივი ფორმა და მისი ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგენს.

მართლმსაჯულების სასამართლოს ადრეულ პრაქტიკაში გვხვდება გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლო ეკონომიკური აგენტის ცნების ჩამოყალიბებისას სწორედ მის ინსტიტუცი-ონალურ გაგებას იყენებს. გასული საუკუნის სამოციანი წლების პრაქტიკაში ეკონომიკური აგენტი განმარტებულია როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი სუბიექტის ქვეშ არსებული პი-როვნული, მატერიალური და არამატერიული ფაქტორების ერთიანობა, რომელიც კონკრეტუ-ლი ეკონომიკური მიზნის მიღწევას ემსახურება.³ აღნიშნულის შესაბამისად სასამართლო იქვე დასძენს, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი სამართლის სუბიექტის შექმნა ახალი ეკონომი-

² Zimmer D. in Immenga/Metsmäcker GWB Kommentar, 3. Auflage, München 2001, § 1, Rn. 24.

³ ECLI:EU:C:1962:30, Klöckner-Werke AG, Joined cases 17/61 and 20/61, § 16.

კური აგენტის წარმოშობას გულისხმობს.⁴ სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ყურადღების მიღმა ტოვებს სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ფორმასა და შინაარსს. ეკონომიკური აგენტის განსაზღვრისას სასამართლოსთვის საკმარისია კონკრეტული სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა თუ მიზნის მქონე სუბიექტის არსებობა.

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალური გაგება იმავე პერიოდში სხვადასხვა მიზნითა და დატვირთვით გამოიყენებოდა. მაგ. ეკონომიკური აგენტის მსგავსი განმარტება მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წარმოადგენდა და მარტივ და პრაქტიკულ საშუალებას იმის დასასაბუთებლად, რომ დედა და შვილობილი კომპანია მიჩნეულიყო ერთ ეკონომიკურ აგენტად.⁵

თუმცა, აღნიშნულმა მიდგომამ დროთა განმავლობაში აქტუალურობა დაკარგა⁶ და მართლმსაჯულების სასამართლოს შემდგომ პრაქტიკაში აღიარება და განვითარება ვერ ჰპოვა, ვინაიდან იგი სრულყოფილად ვერ პასუხობდა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის წინაშე მდგარ ამოცანებს. აღნიშნული კი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ინსტიტუციონალური გაგება მნიშვნელოვნად ავიწროებდა ეკონომიკური აგენტის ცნებას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავდა კონკურენციის სამართლის მოქმედების ფარგლებს.

3. ეკონომიკური აგენტის ფუნქციონალური გაგება

ინსტიტუციონალური გაგებისაგან განსხვავებით, ფუნქციონალური გაგება უფრო აფართოებს ეკონომიკური აგენტის ცნების ფარგლებს. აღნიშნული მიდგომით სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევა არ არის დამოკიდებული მის სამართლებრივ ფორმასა თუ ორგანიზაციულ მოწყობაზე. ფუნქციონალური გაგების ქვაკუთხედს წარმოადგენს პირის პრაქტიკული საქმიანობა, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა თუ ორგანიზაციული მოწყობისა.

გერმანული სასამართლო პრაქტიკაც სწორედ აღნიშნულ მიდგომას იზიარებს და უგულებელყოფს ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალურ გაგებას.⁷ გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკურ აგენტად მიჩნევა პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.⁸ ფედერალური სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გერმანიის კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკური აგენტის თვითმყოფად ფუნქციონალურ ცნებას ეფუძნება. ფუნქციონალური გაგების მიხედვით, სუბიექტის ეკონომიკური აგენტის ხარისხში ასაყვანად საკმარისია სახეზე იყოს ნებისმიერი სახის აქტიური და დამოუკიდებელი ჩართულობა ეკონომიკურ ბრუნვაში.⁹

დროთა განმავლობაში მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაშიც დამკვიდრდა ეკონომიკური აგენტის ცნების მიმართ ფუნქციონალური მიდგომა და მისი დეფინიცია მჭიდროდ დაუკავშირდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას. გერმანიის ფედერალური სასამართლოს მსგავსად, მართლმსაჯულების სასამართლომაც ეკონომიკური აგენტი განმარტა,

⁴ იქვე.

⁵ Füller T. J. in Kölner Kommentar zum Kartelrecht, Bd. 3. 2016, § 101. Rn. 11.

⁶ Zimmer D. in Immenga/Metsmäcker GWB Kommentar, 3. Auflage, München 2001, § 1, Rn. 24.

⁷ Zimmer D. in Immenga/Metsmäcker GWB Kommentar, 3. Auflage, München 2001, § 1, Rn. 30.

⁸ BGH NJW 1962 196.

⁹ BGH Urt. v. 05.05.1981, KZR 9/80, §. 5.

როგორც პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.¹⁰ შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისა¹¹ და გაბატონებული მოსაზრების¹² მიხედვით, სწორედ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს კონკურეტული სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევის უმთავრეს წინაპირობას.

თუმცა, ეკონომიკური აგენტის მოცემული განმარტება, თავის მხრივ, საჭიროებს საკუთრივ ეკონომიკური საქმიანობის შინაარსის განსაზღვრასაც, რათა უფრო ზუსტად დადგინდეს თუ კონკურეტულად რა სახის საქმიანობის განხორციელებისას უნდა ჩაითვალოს პირი ეკონომიკურ აგენტად. მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნულ კონტექსტში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ბაზარზე საქონლისა და/ან მომსახურების ნებისმიერი სახით მიწოდებას გულისხმობს.¹³ იმისათვის რომ სახეზე იყოს ეკონომიკური საქმიანობა, მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების მიზანს.¹⁴ თუმცა, მოგებაზე ორი ენტირებული საქმიანობის განხორციელებისას, პირი ყოველთვის უნდა ჩაითვალოს ეკონომიკურ აგენტად. გარდა ამისა, ანაზღაურების სანაცვლოდ ნებისმიერი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებაც მიჩნეულ უნდა იქნეს ეკონომიკურ საქმიანობად.¹⁵ ხოლო, იმ შემთხვევაში თუ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ხორციელდება ანაზღაურების გარეშე, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების ანაზღაურების სანაცვლოდ მიწოდება ან სხვა სუბიექტები ახორციელებენ თუ არა იმავე საქმიანობას ანაზღაურების სანაცვლოდ.¹⁶

უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ ქართველი კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური აგენტის ცნების ლეგალური დეფინიციაც უმეტესწილად ფუნქციონალურ მიდგომას ეფუძნება. თუმცა, ევროპული პრაქტიკისგან განსხვავებით ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ეკონომიკური აგენტის ცნების აუცილებელ ელემენტს არა ეკონომიკური, არამედ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად ავიწროებს აღნიშნული ინსტიტუტის ქვეშ მოაზრებულ სუბიექტთა წრეს.

კანონის მე-3 მუხლში მოცემული განმარტების მიხედვით, ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. თუმცა, კანონი არ შეიცავს არანაირ სპეციალურ მითითებას თუ რა სახის საქმიანობა უნდა იქნეს მიჩნეული სამეწარმეო საქმიანობად. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის ცნება,¹⁷ რომლის ერთ-ერთ

¹⁰ ECLI:EU:C:1984:271, *Hydrotherm*, Case 170/83, § 11; ECLI:EU:C:1991:161, *Klaus Höfner*, Case C-41/90, § 21.

¹¹ ECLI:EU:C:1993:63, *Poucet*, Joined Cases C-159/91 und C-160/91 § 17; ECLI:EU:C:1994:7, *Sat Fluggesellschaft*, Case C-364/92 § 18; ECLI:EU:C:1997:603, *Job Centre*, Case C-55/96 § 21; ECLI:EU:C:2000:428, *Pavlov*, Joined Cases C-180/98 to C-184/98 § 74; ECLI:EU:C:2002:98, *Wouters*, Case C-309/99 § 47.

¹² Füller T. J. in Kölner Kommentar zum Kartelrecht, Bd. 3. 2016, § 101. Rn. 11 {ციტ. Säcker/Hermann, in: MünchKommKartR, Einl. Rn. 946; Weiß, S. 76.}.

¹³ ECLI:EU:C:2000:428, *Pavlov*, Joined Cases C-180/98 to C-184/98 § 75; ECLI:EU:C:1987:283, *Commission v Italy*, Case C-118/85 § 7; ECLI:EU:C:1998:303, *Commission v Italy*, Case C-35/96, § 36.

¹⁴ Faul J. Nikpay A., the EU Law of Competition, 3rd ed., 2014. § 3.28.

¹⁵ ECLI:EU:C:2000:428, *Pavlov*, Joined Cases C-180/98 to C-184/98 § 76 ; ECLI:EU:C:1998:303, *Commission v Italy*, Case C-35/96, § 37; ECLI:EU:C:2002:98, *Wouters*, Case C-309/99.

¹⁶ Füller T. J. in Kölner Kommentar zum Kartelrecht, Bd. 3. 2016, § 101. Rn. 14.

¹⁷ ზუკაკიშვილი ქ. (რედ.), ჯაფარიძე ლ. (რედ.), კობაძე ნ., უგანია ნ., გველესიანი ზ., აკოლაშვილი გ., მომცელიძე ს., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბ., 2019, 180.

უმთავრეს და აუცილებელ მახასიათებელსაც მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა წარმოადგენს.

ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში ეკონომიკური აგენტის ცნების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირება და საკუთრივ ეკონომიკური საქმიანობის ფართო განმარტება კონკურენციის სამართლის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფას ემსახურება. როგორც წესი, კონკურენციის სამართლის დარღვევის შეფასების პროცესის საწყის ეტაპზე ხდება სადაც ქმედების განმახორციელებელი სუბიექტის იდენტიფიცირება. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდო დარღვევა ვლინდება კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებაში, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა თუ არაკეთილსინდისიერ კონკურენტულ ქმედებაში, სამართლებრივი კვალიფიკაციის საწყის ეტაპზე უნდა დადგინდეს, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი ეკონომიკურ აგენტს. შესაბამისად, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისათვის აუცილებელი უმთავრესი ამკრძალავი ნორმების ამოქმედება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კონკრეტული სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევაზეა დამოკიდებული. კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისათვის აუცილებელია, რომ კონკურენციის სამართალი ვრცელდებოდეს ნებისმიერი მედებაზე, რომელსაც შესწევს უნარი რაიმე ფორმით ზეგავლენა მოახდინოს ბაზარზე არსებულ კონკურენციის პროცესზე. შესაბამისად, თუ კონკურენციის სამართლის მიზანია ეკონომიკურ ცხოვრებაში კონკურენციის შეზღვეულის შემთხვევების ფართო სპექტრზე რეაგირება, მაშინ ეკონომიკური აგენტის ცნებაც მაქსიმალურად ფართოდ უნდა განიმარტოს. ამისათვის კი აუცილებელია კანონმდებლობა იძლეოდეს ეკონომიკური აგენტის ცნების ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და იგი მაქსიმალურად აერთიანებდეს ყველა იმ სუბიექტს, რომელიც კონკრეტული საბაზრო ქმედების განხორციელების გზით ნეგატიურ გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურასა თუ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე.

აღნიშნულის შესაძლებლობას კი ეკონომიკური აგენტის ცნების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირება არ იძლევა. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების აუცილებლობა მნიშვნელოვნად ავინწოდებს ეკონომიკური აგენტის ცნების ფარგლებს, ვინაიდან ასეთ დროს, კონკრეტული ქმედების შესაფასებლად აუცილებელი ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის არსებობა. ქართველი კანონმდებლის მსგავსი მიღვომა კი კონკურენციის სამართლის მიღმა ტოვებს ყველა ისეთ ქმედებას, რომელიც მართალია არ არის მოგების მიღებაზე ორიენტირებული, თუმცა შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული ეფექტები ბაზარზე და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდეს ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. ამაზე ასევე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, სადაც ცალსახა პოზიციად დაფიქსირებული იმასთან დაკავშირებით, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება არ წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის ცნების აუცილებელ ელემენტს.¹⁸

ამდენად, კონკურენციის სამართლის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ეკონომიკური აგენტის ცნების ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობა, არამედ სხვა რელევანტური საბაზრო ქმედებებიც, რომლებიც შესაძლოა გასცდეს მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის ფარგლებს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ეკონომიკური აგენტის ცნების ფართოდ განმარ-

¹⁸ ECLI:EU:C:1995:392, *Fédération Française*, Case C-244/94.

ტების საჭიროება განპირობებულია კონკურენციის სამართლის დამცავი ფუნქციის მაქსიმა-ლურად შესრულების აუცილებლობით.¹⁹ კონკურენციის კანონმდებლობის ფართომასშტაბიანი, ყოვლისმომცველი და ეფექტურიანი აღმოჩენისათვის მნიშვნელოვანია კონკურენციის სამარ-თლის ძირითადი ადრესატის - ეკონომიკური აგენტის უმთავრეს მახასიათებელსა და მისი ცნე-ბის ძირითად ელემენტს წარმოადგენდეს შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციის პრო-ცესში ნებისმიერი ფორმით ჩართულობა და საკუთარი საქმიანობით აღნიშნულ პროცესზე ზე-გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.²⁰ მსგავსი ზეგავლენა კი შეიძლება მომდინარეობდეს არა მარტო მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებიდან, არამედ ამ ბაზარზე სა-ქონლისა და/ან მომსახურების ნებისმიერი სხვა ისეთი ფორმით მიწოდებიდან, რომელიც შესაძ-ლოა მიზნად არ ისახავდეს მოგების მიღებას.

გარდა ამისა, ეკონომიკური აგენტის სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირება, კონკუ-რენციის სამართლის მოქმედების ფარგლებს მიღმა ტოვებს ე.წ. თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლებს, რომელთა საქმიანობაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირ-ველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, არ მიიჩნევა სამენარმეო საქმიანობად. კონკურენციის სამართლის ამკრძალავი ნორმების ადრესატების წრიდან აღნიშნული სუბიექტების გამორიცხ-ვა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას, სადაც მსგავ-სი თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები ასევე მიიჩნევიან ეკონომიკურ აგენტებად. მაგალითად, საადვოკატო მომსახურების განმახორციელებელი სუბიექტი მიიჩნევა ეკონომი-კურ აგენტად, ვინაიდან ის იურიდიული მომსახურების ბაზარზე მომხმარებლებს მომსახურე-ბას სთავაზობს ანაზღაურების სანაცვლოდ.²¹

4. ეკონომიკური აგენტი როგორც რელატიური სამართლებრივი კატეგორია

ეკონომიკური აგენტის ცნების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირება, თავის მხრივ, წარმოშობს გარევეულ პრობლემას მაშინ, როდესაც საქმე ისეთ სუბიექტს ეხება, რომელშიც სახელმწიფო რაიმე ფორმით მონაწილეობს. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო შესაძლოა ერთ შემთხვევაში მოქმედებდეს საჯარო უფლებამოსილების განხორ-ციელების მიზნით და არ წარმოადგენდეს ეკონომიკურ აგენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში შესაძ-ლოა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და იგი მიჩნეულ იქნეს ეკონომიკურ აგენტად.²² შესა-ბამისად, ერთი და იგივე სუბიექტი შესაძლებელია ერთ შემთხვევაში წარმოადგენდეს ეკონომი-კურ აგენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში - არა. სწორედ ამ ფაქტში ვლინდება ეკონომიკური აგენ-ტის რელატიური ანუ არაპსოლუტური ხასიათი.²³

მართლმსაჯულების სასამართლოს ზემოთ აღნიშნული განმარტებიდან,²⁴ ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური აგენტის ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული ყოველ კონკრეტულ შემ-

¹⁹ Zimmer D. in Immenga/Metsmäcker GWB Kommentar, 3. Auflage, München 2001, § 1, Rn. 31 {ციტ: Emmerich § 2 1 a (S.17); Möschel Rdnr. 100; Hootz in GK Rndn. 12; Bunte in Langen/Bunte Rdnr. 8.}.

²⁰ Füller T. J. in Kölner Kommentar zum Kartelrecht, Bd. 3. 2016, § 101. Rn. 13.

²¹ Opinion of Advocate General Leger, delivered on 10 July 2001, ECLI:EU:C:2001:390, § 46.

²² ECLI:EU:C:1987:283, *Commission v Italy*, Case C-118/85 § 7.

²³ Jellis J., The concept of undertaking in EC competition law and its application to public bodies: Can you buy your way into article 82, Competition Law Journal, Vol. 2, 2003, 118.

²⁴ ECLI:EU:C:1987:283, *Commission v Italy*, Case C-118/85 § 7.

თხვევაში შესაფასებელ სადავო ქმედებასთან. პირი არ ითვლება ეკონომიკურ აგენტად მაშინ, როდესაც სადავო ქმედებით იგი ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აშკარაა ისეთი ქმედება/საქმიანობა, რომელიც თავისი მიზნების, არსისა და ამ ქმედების/საქმიანობის საფუძვლად არსებული ნორმების გათვალისწინებით, დამახასიათებელია სახელმწიფო ორგანოებისთვის.²⁵

ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნება და მისი ფუნქციონალური გაგება მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული სუბიექტის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. თუმცა, მისი რელატიურობა და ფუნქციონალური განმარტება განსხვავებული შინაარსის მატარებელია და სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. როგორც აღინიშნა, ფუნქციონალური გაგების მიხედვით, ეკონომიკური აგენტის ცნების უმთავრეს ელემენტს სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა წარმოადგენს, რაც ევროპულ პრაქტიკაში ეკონომიკური საქმიანობას, ხოლო ქართულ რეალობაში - სამეწარმეო საქმიანობას გულისხმობს. ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნება კი ვლინდება იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში განმსაზღვრელია არა სუბიექტის ჩვეულებრივი საქმიანობა, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული სადავო ქმედების შინაარსი. შესაბამისად, შეიძლება პირი ჩვეულებრივ ეწეოდეს ეკონომიკურ/სამეწარმეო საქმიანობას, თუმცა კონკრეტული სადავო ქმედება არ წარმოადგენდეს მსგავსი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებას, რის გამოც იგი არ ჩაითვლება ეკონომიკურ აგენტად და პირიქით - შეიძლება პირი ჩვეულებრივ არ ეწეოდეს ეკონომიკურ/სამეწარმეო საქმიანობას, თუმცა, კონკრეტული სადავო ქმედება წარმოადგენდეს მსგავსი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებას, რის გამოც იგი ჩაითვლება ეკონომიკურ აგენტად.

ეკონომიკური აგენტის მსგავსი რელატიური ბუნება განაპირობებს და უზრუნველყოფს კონკურენციის სამართლის მოქნილობას და მისი ეფექტიანი აღსრულების დამატებით შესაძლებლობას. აღნიშნულის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტის არსებობის/არარსებობის დადგენა დამოკიდებულია არა სუბიექტის ჩვეულებრივ საქმიანობაზე, არამედ კონკრეტული სადავო ქმედების შინაარსზე. თუ კონკრეტული სადავო ქმედება ხორციელდება საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, მაშინ სახეზე არ არის ეკონომიკური საქმიანობა და მისი განმახორციელებელი სუბიექტიც აღარ წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს. ხოლო ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული სადავო ქმედების შემთხვევაში იგი აუცილებლად ჩაითვლება ეკონომიკურ აგენტად და მოექცევა კონკურენციის სამართლის შესაბამისი ამკრძალავი ნორმების მოქმედების სფეროში. ამდენად, ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნების აღიარება ემსახურება კონკურენციის სამართლის ამკრძალავი ნორმებისთვის მოქმედების მაქსიმალურად ფართო არეალის უზრუნველყოფას და მისი ფარგლების ქვეშ ყველა ისეთი ქმედების თავმოყრას, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ფარლებში ხორციელდება და შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის.

ქართული კონკურენციის კანონმდებლობის სისტემის გათვალისწინებით, ეკონომიკური აგენტის ცნების რელატიურობის დამატებითი ფუნქცია ასევე მდგომარეობს იმაში, რომ ამ გზით შესაძლებელი ხდება საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების აბსტრაქტობა კონკურენციის სამართლის ისეთი კლასიკური ინსტრუმენტების მოქ-

²⁵ ECLI:EU:C:1994:7, SAT Fluggesellschaft mbH v Eurocontrol, Case C-364/92 § 30.

მედების ფარგლებისგან, როგორიცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ჯან-სალ კონკურენტულ გარემოსთან არათავსებადი კონცენტრაციების აკრძალვა.

საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული კონკურენციის შემზღვე-ველი ქმედებებისათვის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეცი-ალურ ნორმებს, რომელიც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოებს უკადაგს გარკვეული სახის კონკურენციის შემზღვეველ ქმედე-ბებს. კერძოდ, მსგავსი ქმედებები ქართული კონკურენციის კანონმდებლობის მოქმედების ფარგლებში ექცევა კანონის მე-10 მუხლითა და სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ კუთხით პრობლემას წარმოშობს შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, კერძო სამართლის იურიდიული პირი ერთ შემთხვევაში მოქმედებს სა-ხელმწიფოსგან დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ხოლო მეორე შემთხვევაში ახორციელებს სამეცარმეო საქმიანობას. აღნიშნული სუბიექტი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, წარმოადგენს მენარმე სუბიექტს და შესაბამისად იგი არის ეკონომიკური აგენტი. თუმცა, ბუნებრივია, საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედების ნაწილში შეუძლებელია იგი მოქმედეს დომინირებუ-ლი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებებისა თუ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამკრძალავი ნორმების მოქმედების ფარგლებში.

სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის საფრთხის პრევენციას ემსახურება კანონში მოცემული სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმებიც. ამ შემთხვევაში რელევანტური სახელმწიფო ორგანოები ბაზარზე გვევლინებიან სახელმწიფო დახმარების გამ-ცემის როლში და სხვადასხვა ფორმით ერევიან ბაზრის თავისუფალი განვითარების პროცესში. ამასთან, იგივე სუბიექტი ამავდროულად შეიძლება წარმოადგენდეს ეკონომიკურ აგენტის იმ-დენად, რამდენადაც ისინი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან ერთად შეიძლება ენერგიენ ეკონომიკურ საქმიანობას. ამიტომ, მნიშვნელოვანია ცალსახა წყალგამყოფი ხაზის შექმნა სახელმწიფო დახმარების გამცემისა და ეკონომიკური აგენტის ცნებებს შორისაც.

ეკონომიკური აგენტისა და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექ-ტის სრულფასოვანი გამიჯვნა შეუძლებელია ეკონომიკური აგენტის ცნების ინსტიტუციონა-ლური გაგების გამოყენებით, ვინაიდან ინსტიტუციონალურად ერთი და იგივე სუბიექტი შესაძ-ლოა ერთდროულად ახორციელებდეს როგორც ეკონომიკურ საქმიანობას ასევე საჯარო უფ-ლებამოსილებას. ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალური გაგების შესაბამისად, იმ შემ-თხვევაში თუ კონკურენციის სამართლისთვის რელევანტური სუბიექტის იდენტიფიცირები-სათვის მთავარი ამოსავალი წერტილი იქნება კონკრეტული სუბიექტის ორგანიზაციული მოწყ-ობა და სამართლებრივი ფორმა, მაშინ კონკრეტული სადავო ქმედების შესაბამისი კვალიფიკა-ციის პროცესში მოხდება საკუთრივ ამ ქმედების შინაარსის უგულებელყოფა, რაც საფრთხეს შეუქმნის კონკურენციის სამართლის მობილურობას, მოქნილობასა და მის ეფექტიან აღსრუ-ლებას. შესაბამისად, კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციო-ნალური გაგება ვერ პასუხობს კონკურენციის სამართლის მიზნებს, ამოცანებსა და მის თანა-მედროვე გამოწვევებს.

გამიჯვნის პრობლემის სრულფასოვანი აღმოფხვრა ვერც ეკონომიკური აგენტის მხო-ლოდ ფუნქციონალური ცნების გამოყენებით ვერ მოხერხდება, ვინაიდან მისი მთავარი ამოსა-

ვალი წერტილი სუბიექტის ზოგადი საქმიანობაა და არა კონკრეტული ქმედების შინაარსი. იმისათვის, რომ მოხდეს ეკონომიკური აგენტისა და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა აუცილებელია მთავარი ამოსავალი წერტილი იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი სადავო ქმედების შინაარსი და აღნიშნულის შედეგად საქმიანობის იმ კატეგორიის (ეკონომიკური საქმიანობა ან საჯარო უფლებამოსილების განხორციელება) განსაზღვრა, რომელსაც მიეკუთვნება განსახილველი ქმედება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური აგენტის ფუნქციონალურ განმარტებასთან ერთად მოხდეს მისი რელატიური ბუნების აღიარება.

ვინაიდან, სადავო ქმედების კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებაში შეფასებისას ეკონომიკური აგენტის რელატიურობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ საკუთრივ ამ სადავო ქმედების შინაარსზე ფოკუსირდება, იგი მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყოფს ასევე ამ ქმედების სწორ კვალიფიკაციას. კერძოდ, თუ სადავო ქმედება ხორციელდება ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მაშინ ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი ავტომატურად წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს და შესაბამისად იგი შეფასდება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამკრძალავ ნორმებთან მიმართებაში. ხოლო თუ სადავო ქმედება ხორციელდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, მაშინ მისი განმახორციელებელი სუბიექტი არ ჩაითვლება ეკონომიკურ აგენტად და ქმედებაც შეფასდება მხოლოდ კანონის მე-10 მუხლთან ან სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ ნორმებთან მიმართებაში.

5. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა

ეკონომიკური აგენტის მიმართ კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილ ერთ-ერთ აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს კონკურენციის შემზღვებულ შეთანხმებებში მონაწილეობა. კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებათ დადონ ისეთი შეთანხმება, განახორციელონ ისეთი შეთანხმებული ქმედება ან მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომლის შედეგი ან მიზანია კონკურენციის შეზღვება, დაუშვებლობა ან აკრძალვა. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის დისპოზიცია გულისხმობს სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტისა და მათ შორის კონკრეტული შინაარსის შეთანხმების არსებობას.

თუმცა, აღნიშნული ნორმის გაგებით, ორი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის არსებობისათვის კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია საკმარისი არ იყოს ორი ან მეტი სამართლებრივად დამოუკიდებელი და განცალკევებული სუბიექტის არსებობა. კერძოდ, ბაზრის სხვადასხვა მონაწილე კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის მიჩნეულ იქნეს ერთ ეკონომიკურ სუბიექტად, რაც გამორიცხავს მათ შორის კონკურენციის შემზღვებული შეთანხმების არსებობის შესაძლებლობას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სახეზე არ არის ორ ან მეტ დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტს შორის არსებული შეთანხმება.

გარდა ამისა, რამდენიმე პირის ერთ ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნევა მნიშვნელოვან როლს ასევე ასრულებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შერაცხადობის საკითხის განსაზღვრისას. მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედ-

ვით, შვილობილი კომპანიის ქმედება შესაძლოა შეერაცხოს დედა კომპანიას იმ შემთხვევაში თუ განცალკევებული სამართალსუბიექტობის მიუხედავად, შვილობილ კომპანიას არ აქვს საკუთარი საბაზრო ქმედებების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა და მოქმედებს დედა კომპანიის ინსტრუქციების შესაბამისად.²⁶

აღნიშნული მიდგომა ევროპულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ეფუძნება „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის“ სახელით ცნობილ თეორიას. მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული დოქტრინის საფუძველზე რამდენიმე ფიზიკური ან/და იურიდიულ პირი შესაძლებელია ჩაითვალოს ერთ ეკონომიკურ აგენტად.²⁷ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის მიხედვით, სამართლებრივად ერთმანეთისაგან განცალკევებული სუბიექტები არ მიიჩნევიან დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებად იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არსებობს გარკვეული ხარისხის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ამართლებს ამ სუბიექტების არა სხვადასხვა, არამედ ერთ ეკონომიკურ აგენტად მიჩნევას. ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნევისათვის საკმარისი ხარისხის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა კი ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვთ კონკრეტულ სუბიექტებს გადაწყვეტილების მიღების რეალური ავტონომია და საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა.²⁸ ამასთან, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) განმარტებით, სამართლებრივად განცალკევებულ სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების არსებობა თავისითავად არ ნიშნავს, რომ გამოკვეთილია ერთი ეკონომიკური აგენტი, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებულება უფრო ფართო ცნებაა და მისი არსებობის მიუხედავად კონკრეტული სუბიექტები შესაძლოა მაინც სარგებლობდნენ გარკვეული დამოუკიდებლობით და ისინი სხვა სუბიექტთან ერთად არ ქმნიდნენ ერთ ეკონომიკურ აგენტს.²⁹ შესაბამისად, კონკრეტული სუბიექტის ცალკე ეკონომიკურ აგენტად კვალიფიკირებულისათვის აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს გადაწყვეტილების მიღების რეალური ავტონომია და დამოუკიდებლობის საკმარისი ხარისი.

თუმცა, ბაზრის რომელიმე მონანილის დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა გარკვეულ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ერთი კომპანია მეორე კომპანიაში ფლობს წილების 100 პროცენტს, მაშინ არსებობს პრეზუმეცია იმისა, რომ დედა კომპანიას აქვს გადამწყვეტი გავლენა შვილობილი კომპანიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე,³⁰ რაც გულისხმობს, რომ შვილობილ კომპანიას არ გააჩნია რეალური ავტონომია ბაზარზე საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით და მისი კომპეტენცია მხოლოდ დედა კომპანიის მითითებების შესრულებით შემოიფარგლება.³¹ სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაში შვილობილი კომპანიის ქმედებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის კონკუ-

²⁶ ECLI:EU:C:2009:536, *Akzo Nobel NV*, Case C-97/08 P. § 58; ECLI:EU:C:1972:70, *Chemical Industries*, Case 48-69, §§ 132/133; ECLI:EU:C:1972:73, *Geigy AG*, Case 52-69, § 44; ECLI:EU:C:1973:22, *Europemballage and Continental Can*, Case 6/72, § 15.

²⁷ ECLI:EU:C:2009:536, *Akzo Nobel NV*, Case C-97/08 P. § 55; ECLI:EU:C:2006:784, *Confederación Española*, Case C-217/05 § 40.

²⁸ ECLI:EU:T:2005:322, *DaimlerChrysler AG*, Case T-325/01 § 85; ECLI:EU:T:2012:46, *DuPont Performance Elastomers*, Case T-76/08, § 58.

²⁹ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება №04/166, 06/07/2018, 17.

³⁰ ECLI:EU:C:2009:536, *Akzo Nobel NV*, Case C-97/08 P. § 61;

³¹ ECLI:EU:C:1996:405, *Viho Europe BV*, Case C-73/95 P, § 16.

რენციის კანონმდებლობასთან, სრულად შეერაცხება დედა კომპანიასაც, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს უკანასკნელი სათანადო მტკიცებულებებით არ დაასაბუთებს, რომ შვილობილი კომპანია სარგებლობს ბაზარზე დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობით.³² აქედან გამომდინარე, 100 პროცენტიანი წილის ფლობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ დედა და შვილობილი კომპანია ქმნიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული სუბიექტები მტკიცების მაღალი ხარისხით სანინააღმდეგოს არ დაასაბუთებენ. ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა რელევანტური გარემოება, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ, ორგანიზაციულ თუ სამართლებრივ კავშირებს და უბრალოდ ის ფაქტი, რომ დედა კომპანია არ ერევა/ჩარეულა შვილობილი კომპანიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის საკმარისი.³³ ამასთან, საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ აღნიშნული პრეზუმუტციის გაბათილება შესაბამისი სუბიექტების ინტერესებში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიის მიმართ დგინდება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი, ვინაიდან მისი გაბათილების შემთხვევაში აღნიშნული ქმედება არ შეერაცხება დედა კომპანიას და სანქცია დაეკისრება მხოლოდ შვილობილ კომპანიას.

მსგავსი პრეზუმუტცია არ არსებობს იმ შემთხვევაში თუ დედა კომპანია სრულად არ ფლობს შვილობილი კომპანიის წილებს.³⁴ მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს, აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელმა უწყებამ ეკონომიკური, ორგანიზაციული თუ სამართლებრივი კავშირების საფუძველზე შეძლოს იმის მტკიცება, რომ ადგილი აქვს შვილობილ კომპანიაზე გადამწყვეტი ზეგავლენის განხორციელებას დედა კომპანიის მხრიდან.³⁵ წილის ასპროცენტიანი ფლობისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელია არა შესაბამისი ეკონომიკური აგენტი, არამედ კონკურენციის აღმასრულებელი უწყება.

ზემოთ მოცემულ შემთხვევებში, ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნეულ რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს შორის არსებული ხელშეკრულება თუ შეთანხმებული ქმედება, როგორც წესი, ერთ კორპორატიულ ჯგუფში გარკვეული ფუნქციების გადანაწილებად მიიჩნევა და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებულ კონკურენციის შემზღვდველ შეთანხმებას.³⁶ აღნიშნული მიღვომა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უკვე არსებული გარკვეული ხარისხის ურთიერთკონტროლი ისედაც გამორიცხავს მათ შორის კონკურენციას და შესაბამისად მათი შეთანხმების შედეგად შეუძლებელია კონკურენციის შეზღუდვა, ვინაიდან ისინი ერთმანეთის კონკურენტებს არ წარმოადგენენ. ამასთან, ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნეულ რამდენიმე ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში შვილობილი კომპანიის კონკურენციის კანონმდებლობის სანინააღმდეგო ქმედებები სრულად უნდა შეერაცხოს ასევე იმ ეკონომიკურ აგენტსაც, რომელიც ზემოთ მოცემული მსჯელობის შესაბამისად ახორციელებს მასზე კონტროლს.

³² იქვე.

³³ ECLI:EU:C:2012:479, *Alliance One International Inc*, Joined Cases C-628/10 P and C-14/11 P, § 45; ECLI:EU:C:2013:514, *Stichting Administratiekantoor Portielje*, Case C-440/11 P § 66;

³⁴ *Faul J. Nikpay A.*, the EU Law of Competition, 3rd ed., 2014, § 3.59.

³⁵ ECLI:EU:T:2012:46, *DuPont Performance Elastomers*, Case T-76/08, § 61.

³⁶ ECLI:EU:C:1974:114, *Centrafarm BV*, Case 15-74, § 41.